



საქართველო  
ლაგოდეხი, ქიზიკის ქ. № 25  
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო ტელ: (+995354)221414

№ 25 QIZIKI STR.  
LAGODEKHI  
2700 GEORGIA  
LAGODEKHI MUNICIPALITY  
SAKREBULO TEL: (+995354)221414



KA000026359482720

№ 22-ი

03 / ივლისი / 2020 წ.

## განკარგულება

### „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 აგვისტოს №47 განკარგულების დანართში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

#### მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 აგვისტოს №47 განკარგულების დანართში, კერძოდ საპრივატიზებო ობიექტების ნუსხას დაემატოს 6 (ექვსი) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი, კერძოდ:

1. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ფონაში მდებარე, 1341 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს/კ 54.11.52.166.
2. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ვარდისუბანში მდებარე შენობის 44,43 კვ.მ ფართი, ს/კ 54.07.51.042.
3. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ფონაში მდებარე, 2312 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 54.11.52.037 და მასზე განთავსებული შენობა.
4. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ნაენდროვალში მდებარე 1000 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ს/კ 54.08.52.113 და მასზე განთავსებული შენობა.
5. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ლელიანში მდებარე, 661 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 54.14.52.022. და მასზე განთავსებული შენობა.

#### მუხლი 2

საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა ჩამოყალიბდეს თანდართული ახალი დანართის შესაბამისად.

#### მუხლი 3

ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

#### მუხლი 4

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/  
შტამგდასმულია  
ელემტრონულად



გიორგი ლამბაშიძე